1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 2

1984

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

17.810

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (482) თებერვალი 1984 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი


51. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

52. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

53. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ნ. მატარაძის საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.

54. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ.


### განყოფილება მეორე


55. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ლ. იოსელიანისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

56. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის თანამშრომლებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



57. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ა. შანიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

58. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ი. დუდჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

59. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. მ. კოროლიოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

60. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ქ. ლაზარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

61. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

62. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. მ. პირველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

63. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. მ. ბოკერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

64. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. კ. კირილიუკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 51 „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, სახალხო განათლებისა და კულტურის საკითხებზე სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 21 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ 1977 წლის 29 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1977 წ., № 12, მუხ. 184) შემდეგი ცვლილებები:

1. მე-4 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „საზოგადოებრივი ორგანიზაციების“ შეიცვალოს სიტყვებით „სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების“.

2. მე-7 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები“.

3. მე-11 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სამინისტროს, უწყების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი“ შეიცვალოს სიტყვებით „სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის, უწყების, სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი“.

4. 24-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „კოოპერაციულ, საზოგადოებრივ“ შეიცვალოს სიტყვებით „კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ“.

5. 45-ე მუხლში სიტყვა „შეთანხმების“ შეიცვალოს სიტყვით „ხელშეკრულებების“.

6. მეხუთე კარი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„V. საერთაშორისო ხელშეკრულებები

**მუხლი 48.** საერთაშორისო ხელშეკრულებები

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

ასეთივე წესი გამოიყენება ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის მიმართ, თუ საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებაში დადგენილია ისტორიისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 14 თებერვალი.
№ 2301—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 52 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის წევრებად ამხ. ამხ. თეიმურაზ გიორგის ძე ბაღურაშვილი — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი და შალვა ალექსანდრეს ძე ამონაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

განთავისუფლდნენ ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან ამხ. ამხ. ოთარ ვასილის ძე თაქთაქიშვილი და გიორგი არკადის ძე საყვარელიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 14 თებერვალი.
№ 2302—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 53 ამხ. ლ. ნ. მატარაძის საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ლევან ნიკოლოზის ძე მატარაძე საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 17 თებერვალი.
№ 2309—X

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 54 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველო საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოდ.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს უფროსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს სსრ მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე შედის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

3. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ" საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის პირველი ნაწილი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253; 1981 წ., № 13, მუხ. 302) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებოა საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო, საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველო, რომელთა ხელმძღვანელები დადგენილი წესით შედიან საქართველოს სსრ მთავრობის შემადგენლობაში".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 17 თებერვალი.

№ 2308—X

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 55 ამხ. ო. დ. იოსელიანისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კინორეჟისორ ოთარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითის ძე იოსელიანს მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 1 თებერვალი.
№ 2294—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 56 ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის თანამშრომლებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის თანამშრომლებს:

**ვადაჭკორიას** შოთა იპოლიტეს ძეს — რედაქციის გამგეს.
**ვარდოსანიძეს** იოჰან ლევანის ძეს — პასუხისმგებელ მდივანს.
**მეტრეველს** გურამ ალექსანდრეს ძეს — რედაქციის გამგეს.
**ქველაძეს** გიორგი მიხეილის ძეს — უფროს მეცნიერ რედაქტორს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 7 თებერვალი.
№ 2299—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 57 ამხ. ლ. ა. შანიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის კადრების სექტორის გამგეს ამხ. ლეილა ალე-

ქსანდრეს ასულ შანიძეს მიენიჭოს საპატიო წოდება „**საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი**“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 15 თებერვალი.
№ 2304—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 58 ამხ. ე. ი. დუდჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მსუბუქი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ევგენია ივანეს ასული **დუდჩენკო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 2 თებერვალი.
№ 2296—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 59 ამხ. კ. მ. კოროლიოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ ტრესტ „საქსანტექმონტაჟის“ თბილისის სამონტაჟო სამმართველოს მუშა ამხ. კირილე მიტროფანეს ძე **კოროლიოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 3 თებერვალი.
№ 2297—X

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 60 ამხ. თ. ქ. ლაზარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. თამარ ქიტოს ასული **ლაზარაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 7 თებერვალი.

№ 2298—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 61 საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საშიშ დამნაშავეთა დაკავებისა და გაუვნებლების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**ეგოროვი** ვიტალი ეფიმის ძე — ფრენის ხელმძღვანელი.

**ივანოვი** გაბრიელ სტეფანეს ძე — საავიაციო-ტექნიკური ბაზის ცვლის ინჟინერი.

**სოკოლოვი** გიორგი თევდორეს ძე — საავიაციო-ტექნიკური ბაზის ტექნიკური კონტროლის განყოფილების ინჟინერი.

**ქარქუსაშვილი** ალექსანდრე მათეს ძე — სპეცავტოტრანსპორტის მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 9 თებერვალი.

№ 2300—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 62 ამხ. შ. მ. პირველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი შოთა მიხეილის ძე პირველი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 15 თებერვალი.

№ 2305—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 63 ამხ. ო. მ. ბოკერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ოთარ მამიას ძე ბოკერია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 16 თებერვალი.

№ 2307—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 64 ამხ. ვ. კ. კირილიუკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მიზნით გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის,

რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ახალგაზრდობის ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობისათვის გენერალ-პოლკოვნიკი ვასილ კონსტანტინეს ძე **კირილიუკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 24 თებერვალი.
№ 2324—X

# განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1984 წლის 23 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომამ განიხილა საკითხი სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით სახალხო დეპუტატთა ქუთაისის საქალაქო, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობისა და გურჯაანის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

სახალხო დეპუტატთა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ა. ძოწენიძის, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობისა და გურჯაანის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა ამხ. ამხ. ა. გონგლაძისა და მ. გიოშვილის, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობისა და საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრების ამხ. ამხ. ვ. კობახიძისა და თ. დავითაშვილის ინფორმაციებში აღინიშნა, რომ არჩევნების ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩასატარებლად მუშაობა ამ რეგიონებსა და სამინისტროებში მიმდინარეობს სსრ კავშირის კონსტიტუციის, „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონის სრული შესაბამისობით, მასების მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში. სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება 1984 წლის სახელმწიფო გეგმისა და აღებული ვალდებულებების ვადამდე შესასრულებლად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის და 1984 წლის თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით სარეალიზაციოდ.

ქ. ქუთაისის, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობისა და გურჯაანის რაიონების მშრომელებში, ისევე როგორც მთელს საბჭოთა ხალხში, ერთსულოვანი მოწონება და მხარდაჭერა პოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ამომრჩევლის, ყველა მოქალაქისადმი.

კომუნისტთა და უპარტიოთა ურყევი ბლოკის განმტკიცების, კომუნისტური პარტიის გარშემო მშრომელთა მჭიდრო დარაზმულობის ნიშნით მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრები. წინასაარჩევნო კრებებზე ამომრჩევლები დეპუტატობის კანდიდატებს აძლევენ განაწესებს, აყენებენ საქმიან კონკრეტულ წინადადებებს საწარმოთა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე, იღებენ გადიდებულ ვალდებულებებს ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესასრულებლად.

საარჩევნო ოლქები და უბნები ძირითადად მოთავსებულია შესაფერის შენობებში და სათანადოდ არის გაფორმებული. დადგენილ ვადებში საყოველთაო გაცნობისათვის გამოკრულ იქნა ამომრჩეველთა სიები. ყველა საარჩევნო ოლქი ტელეფონიზებულია; მიმდინარეობს მუშაობა კავშირგაბმულობის საშუალებებითა და საავტომობილო ტრანსპორტით საარჩევნო უბნების უზრუნველსაყოფად. აღმასრულებელი კომიტეტები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები მომარაგებულია საარჩევნო დოკუმენტების ბლანკებით, საარჩევნო ლიტერატურით, სათანადო ინვენტარით.

საოლქო და უმეტეს საუბნო საარჩევნო კომისიებს შედგენილი აქვთ სამუშაო გეგმები, კომისიის წევრებს შორის განაწილებულია ფუნქციები, დაწესებულია მორიგეობა. საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტარდება სააგიტაციო-მასობრივი და პროპაგანდისტული მუშაობა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობისათვის ეწყობა საუბრები და კონსულტაციები.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების საქმეში ადგილი აქვს ცალკეულ ნაკლოვანებებსაც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

— უზრუნველყონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება და მისი ჩატარება სსრ კავშირის კონსტიტუციის, არჩევნების შესახებ კანონის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1983 წლის 11 ოქტომბრისა და 1984 წლის 24 იანვრის დადგენილებების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 27 ოქტომბრისა და 1984 წლის 6 იანვრის დადგენილებების სრული შესაბამისობით;

— მთელი ორგანიზატორული და მასობრივი მუშაობა დაუქვემდებარონ ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებას, მასების შრომითი ინიციატივის შემდგომ ზრდას, მშრომელთა დარაზმვას ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით სარეალიზაციოდ, შრომის ნაყოფიერების ზეგეგმით 1 პროცენტით გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების

დამატებით 0,5 პროცენტით შემცირებისათვის პარტიის დავალების შესასრულებლად;

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1984 წლის 15 თებერვლის დადგენილების შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრების, წინადადებების, კრიტიკული შენიშვნების დროულად განხილვას, მათ მიერ დასმული საკითხების გადაწყვეტას;

— შეაჯამონ და განაზოგადონ 18-25 თებერვალს დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრების შედეგები; სათანადო ყურადღებით მოეკიდონ შეხვედრებზე გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების განხილვას და მოახდინონ მათზე დროული რეაგირება;

— გულდასმით შეისწავლონ წინასაარჩევნო კრებებსა და მომრჩევლებთან დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრებზე დაყენებული საკითხები და მიცემული განაწესები, ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად დასახონ მათი რეალიზაციის კონკრეტული ღონისძიებები.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებს დაევალათ უზრუნველყონ საუბნო საარჩევნო კომისიები კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო საშუალებებით. კავშირგაბმულობის სამინისტრომ მიიღოს ზომები არჩევნებისათვის მზადებისა და ჩატარების პერიოდში სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზების შეუფერხებელი მუშაობის, საფოსტო გზავნილებათა დროულად მიწოდებისათვის; მოაწყოს იმ საარჩევნო უბნების რადიომომსახურება, რომელთაც არ გააჩნიათ სატელეფონო კავშირი; საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას — მიიღონ ზომები სავაჭრო ქსელის პირველი მოთხოვნილების საქონლით შეუფერხებლად მომარაგებისა და მოსახლეობის საჭიროებათა სრულად დაკმაყოფილებისათვის, ხოლო რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, საქინფორმს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს — უფრო ფართოდ გააშუქონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი და საბჭოების მრავალმხრივი საქმიანობა.

* *
*

მოისმინა რა საკითხი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1983 წლის შედეგების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები 1983 წელს მთელ თავიანთ საქმიანობას წარმართავდნენ სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის კონსტიტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმების მოთხოვნების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურ კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და მითითებების შესაბამისად. ასრულებდნენ რა სსრ კავშირის კონსტიტუციით და ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონებით მინიჭებულ უფლებამოსილებას, საბჭოებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გააძლიერეს ზეგავლენა ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაზე.

გასულ წელს საბჭოებმა სესიებზე განიხილეს 11.976 საკითხი, რომლებიც შეეხებოდა სამეურნეო მშენებლობაში საბჭოების როლის შემდგომ ამაღლებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდას, სასურსათო პროგრამის შესაბამისად მატერიალური რესურსების მომჭირნედ და რაციონალურად გამოყენების რეჟიმის გაძლიერებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნვას, საბჭოთა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვას, სახელმწიფო, შრომის, საწარმოო, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას და სხვ. მათს განხილვაში მონაწილეობდა 31.895 დეპუტატი, ანუ მათი საერთო რიცხვის 63,1 პროცენტი.

ფართო გავრცელება პოვა საბჭოების, მათი აღმასკომების, საწარმოების, დაწესებულებების საქმიანობისადმი კონტროლის ისეთმა ქმედითმა ფორმამ, როგორიცაა სესიებზე შეკითხვის წესით საკითხების დაყენება. გასულ წელს დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ იქნა 1.455 საკითხი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა განაწესების რეალიზაციის საქმეს; ამომრჩეველთა 18.509 განაწესიდან შესრულებულია 13.478, ანუ მათი საერთო რაოდენობის 72,8 პროცენტი, ხოლო მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ სესიებზე 417-ჯერ იმსჯელეს. აღსანიშნავია, რომ განაწესებზე მუშაობისას ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები უმეტესწილად ეყრდნობოდნენ ამომრჩეველთა, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მხარდაჭერას, ეძიებდნენ დამატებით რეზერვებს, უფრო რაციონალურად იყენებდნენ ადგილობრივ რესურსებს. ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისადმი ქმედითი კონტროლი ჰქონდათ დაწესებული მუდმივ კომისიებს. ყოველივე ამის შედეგად აშენდა და კაპიტალურად შეკეთდა სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საავადმყოფოები, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების ობიექტები.

ეფექტიანი ღონისძიებები განხორციელდა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკების, დეპუტატების სწავლებისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი კურსები, აგრეთვე ადგილებზე შექმნილი საბჭოთა მშენებლობის ორწლიანი სკოლები და დეპუტატთა სკოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში უფრო ფართოდ დაინერგა დემოკრატიზმისა და საჯაროობის პრინციპები. გასულ წელს ადგილობრივი საბჭოების ყველა აღმასკომმა ჩააბარა ანგარიში ამომრჩევლებს, ხოლო რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების 1.196 განყოფილებიდან და სამმართველოდან მოსახლეობის წინაშე ანგარიშით წარსდგა 1.175, ანუ 98,2 პროცენტი. ამასთან, ბევრი საბჭოს აღმასკომის მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა სესიებზე, კრებებსა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველი საკითხების შესახებ მოხსენებების, ინფორმაციებისა და ანგარიშების წინასწარ დაგზავნა და ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნება. გაუმჯობესდა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობის კრებების და სოფლის ყრილობების ჩატარების პრაქტიკა.

საანგარიშო პერიოდში ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივმა კომისიებმა. 6.944 მუდმივმა კომისიამ, რომლებშიც 41.462 დეპუტატია არჩეული, მონაწილეობა მიიღო საბჭოების სესიებზე 6.836 და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე განსახილველი 18.060 საკითხის მომზადებაში. 2.370 მუდმივმა კომისიამ თავისი მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბარა სესიებს.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები, განსაკუთრებით კი რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებში შექმნილი მიკრორაიონთა საბჭოები.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ეფექტიანობა ჯერ კიდევ სრულად არ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საბჭოთა აქტივი სათანადოდ არ არის მობილიზებული საბჭოების წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად; ზოგიერთი დეპუტატთა ჯგუფის, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოს საქმიანობაში კვლავ შეინიშნება ფორმალიზმი; სრულყოფილად არ ხორციელდება საბჭოთა კანონების შესრულებისადმი კონტროლი; არასაკმარისია სახელმწიფო დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობა.

დმანისის, წალენჯიხის, ყაზბეგის რაიონული, ახალქალაქის, მახარაძის, ხაშურის საქალაქო საბჭოების ზოგიერთი დეპუტატი აქტიურად არ მონაწილეობს სესიებისათვის საკითხების მომზადებასა და განხილვაში.

ჯერ კიდევ არ არის დანერგილი სესიებზე შეკითხვის წესით საკითხების დაყენების პრაქტიკა ადიგენის, დმანისის, თეთრი წყაროს, ლენტეხის, წალკის რაიონულ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამ რაიონულ, რუსთავის, აბაშის, დმანისის, ზუგდიდის, კასპის, ცაგერის, ცხინვალის საქალაქო, ბოლნისის, ბორჯომის, დმანისის, მესტიის რაიონების სასოფლო, აგრეთვე გარდაბნის, თეთრი წყაროს და ორჯონიკიძის რაიონების სადაბო საბჭოებში.

ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ონის, ვანის რაიონულ, ჭიათურის, დმანისის, გეგეჭკორის,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყვარლის საქალაქო, ლანჩხუთის, წალკის, გარდაბნის, ხაშურის რაიონებისა და წყნეთის სადაბო საბჭოებში.

მოსახლეობისათვის ანგარიში არ ჩაუბარებიათ ბოლნისის, ლაგოდეხის, ლენტეხის, წალკის რაიონული, წყალტუბოს, დმანისისა და ზესტაფონის საქალაქო საბჭოების აღმასკომების განყოფილებებსა და გარდაბნის რაიონის სასოფლო საბჭოებს.

დმანისის, ლანჩხუთის, ონის რაიონული, თერჯოლის, საგარეჯოს საქალაქო საბჭოების მუდმივი კომისიების გარკვეული ნაწილი არ მონაწილეობს სესიებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში, საჭირო კონტროლს არ უწევს აღმასკომების სამმართველოების, განყოფილებებისა და წარმოება-დაწესებულებების მიერ სადირექტივო ორგანოების დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულებას.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომში არჩევით თანამდებობებზე მუშაობენ ისეთი პირები, რომლებიც არ არიან შესაბამისი საბჭოების დეპუტატები. ამჟამად 28 აღმასკომის თავმჯდომარე, 14 თავმჯდომარის მოადგილე და 19 მდივანი არ არის დეპუტატი.

კვლავ არასაკმარისია საბჭოების საქმიანობაში შტატგარეშე აქტივის მონაწილეობა. რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებში შექმნილია მხოლოდ 110 შტატგარეშე განყოფილება, რომელშიც 709 შტატგარეშე ინსტრუქტორი მუშაობს, ხოლო სასოფლო და სადაბო საბჭოების აბსოლუტურ უმრავლესობაში ამგვარი განყოფილებები საერთოდ არ არსებობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა:

მთელი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა უფრო სრულად დაუქვემდებარონ სსრ კავშირის კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული უფლება-მოსილების განუხრელად განხორციელების, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, XI ხუთწლედის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამის შესრულების, მასების შრომითი აქტიურობის შემდგომი ამაღლების, ყველა რგოლში დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცების, საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარების, გეგმის ზევით შრომის ნაყოფიერების 1 პროცენტით ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების დამატებით 0,5 პროცენტით შემცირების, მისი ხარისხის გაუმჯობესების, შრომითი, მატერიალური და ბუნებრივი რესურსების მომჭირნედ და რაციონალურად გამოყენების ამოცანებს;

მთელს პრაქტიკულ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის რიგგარეშე პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებით, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურ კრებაზე სკკპ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მიერ საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე მოცემული მითითებებით;

პარტიის დამატებითი დავალების უთუო შესრულების უზრუნველსაყოფად სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება; განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ასამაღლებლად, მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროს საქმიანობის შემდგომ გასაუმჯობესებლად;

სრულყონ მასებთან საბჭოების ორგანიზატორული მუშაობა, აამაღლონ საბჭოების სასესიო საქმიანობის დონე, უზრუნველყონ საკითხების კოლექტიური, საქმიანი განხილვა და გადაწყვეტა, ფართოდ დანერგონ მუშაობაში დემოკრატიზმისა და საჯაროობის პრინციპები, უფრო ქმედითი ზომები მიიღონ ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა და უპასუხისმგებლობის აღმოსაფხვრელად; სისტემატურად შეისწავლონ, განაზოგადონ და გაავრცელონ საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების, დეპუტატების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების, მიკრორაიონთა საბჭოების, შტატგარეშე განყოფილებების მუშაობის დადებითი გამოცდილება, გახადონ იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი; მეტი კონტროლი გაუწიონ საბჭოების მიერ კონსტიტუციითა და კანონებით მინიჭებული უფლებამოსილების სრულად განხორციელებას, იზრუნონ აპარატის მუშაკების, დეპუტატებისა და საბჭოთა აქტივის საქმიანი კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

გააძლიერონ სადეპუტატო მოვალეობის შესრულებაში დეპუტატებისადმი დახმარება; უფრო ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები საბჭოების სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში; უზრუნველყონ ამომრჩეველთა განაწესებისა და საანგარიშო კრებებზე დეპუტატებთან შეხვედრების დროს მოქალაქეთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების დროულად განხილვა და მათზე რეაგირება;

სრულყონ საინფორმაციო-მეთოდური საქმიანობა და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების პრაქტიკა, განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი ამ მიმართულებით სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების საბჭოთა მუშაობის კაბინეტებისა და დეპუტატთა ოთახების საქმიანობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის;

კონკრეტული დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს, მიაღწიონ, რომ ისინი სრულად იყენებდნენ კანონით მინიჭებულ უფლებებს საბჭოების წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას დაევალა უფრო ქმედითი დახმარება გაუწიოს ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილობრივ საბჭოებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის განუხრელად სრულყოფაში.

* *
*

მოისმინა რა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ნ. ურჯუმელაშვილის ინფორმაცია „სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და მათს აღმასრულებელ კომიტეტებს:

— მომავალშიც თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიიჩნიონ პრაქტიკულ ღონისძიებათა განუხრელად განხორციელება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა სარეალიზაციოდ, სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის ოლქის მშრომელთა დასარაზმავად; აამაღლონ აგროსამრეწველო კომპლექსის თითოეული რგოლის პასუხისმგებლობა წარმოების მოცულობის გადიდებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მოსახლეობის ყველა სახის სურსათით საიმედო მომარაგების ორგანიზაციისათვის; ყველგან უზრუნველყონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი, მომსახურე, გადამამუშავებელი, სატრანსპორტო, სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების ზუსტი და გამართული მუშაობა 1984 წელს და მთლიანად XI ხუთწლედში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად;

— დღენიადაგ იბრძოლონ წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში, თითოეულ შრომითს კოლექტივში სახელმწიფო, საგეგმო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად; გააძლიერონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის;

— განუხრელად შეასრულონ პარტიის მოთხოვნები და თანამედროვე დონეზე აიყვანონ მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მომსახურების მთელი სფერო, მიიღონ ზომები სურსათით ვაჭრობის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის; უზრუნველყონ ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, გაერთიანებისა და საწარმოს უფრო აქტიური მონაწილეობა, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, სოფლის მოსახლეობის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების შემდგომ გაუმჯობესებაში;

— საბჭოების სესიებზე, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე მუდმივად განიხილონ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები,

17.810

ქ. მარქსის სახ. სახ. ...

უფრო ფართოდ გამოიყენონ სოფლის ყრილობებისა და კრებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომითი კოლექტივების შესაძლებლობანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად;

— წარმართონ დეპუტატთა, საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობა მიღებული გადაწყვეტილებების, გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების ორგანიზაციაზე უფრო ქმედითი გავლენის განსახორციელებლად; განავითარონ, მხარი დაუჭირონ და გაავრცელონ დეპუტატების, შრომითი კოლექტივების ინიციატივა წარმოების გასადიდებლად, პროდუქციის ჯეროვანი მოვლა-შენახვის, დროული და ხარისხიანი გადამუშავების უზრუნველსაყოფად, მეურნეობრობის ყველა რგოლში მომჭირნეობის რეჟიმის დასაცავად;

— მუდმივად გააანალიზონ და განაზოგადონ სასურსათო პროგრამის სარეალიზაციოდ ოლქის საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილება და ხელი შეუწყონ მის გავრცელებას.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე განიხილა აგრეთვე საკითხები: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1983 წელს შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადება-საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის შესახებ, სახალხო დეპუტატთა გორის საქალაქო და წალენჯიხის რაიონული საბჭოების მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 30 ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე და სხვ.